სახელმძღვანელო შეიქმნა პროექტის “საქართველოს სასკოლო განათლება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენციის სამსახურში” ფარგლებში.

პროექტს ახორციელებს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM), საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით.

IOM International Organization for Migration

პროექტი ხორციელდება შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით.

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC

ადამიანით ვაჭრობა

მასწავლებლის წიგნი X კლასი

MASCAVLEBLIS YDA.indd 1 12.06.2010 10:51:45

ადამიანით ვაჭრობა
(ტრეფიკინგი)

X კლასი

მასწავლებლის წიგნი

trefikingi masc.indd 1 12.06.2010 10:53:24

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) იზიარებს პრინციპს, რომ ჰუმანური და მოწესრიგებული მიგრაცია სარგებლობის მომტანია მიგრანტებისა და საზოგადოებისათვის. IOM წარმოადგენს მთავრობათაშორის ორგანიზაციას და საერთაშორისო თანამეგობრობის პარტნიორების მეშვეობით ახორციელებს თავის საქმიანობას შემდეგი მიმართულებებით:

- მიგრაციის სფეროში არსებული ოპერატიული ამოცანების გადაწყვეტა;
- მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხების განმარტება;
- მიგრაციის დახმარებით სოციალური და ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერა;
- ადამიანის ღირსებისა და მიგრანტების კეთილდღეობის დაცვა და ხელშეწყობა.

გამომცემელი: მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM), ©, 2009

IOM International Organization for Migration

0179 საქართველო, თბილისი,
გოგებაშვილის ქ. 41,
ტელ: (+995 32) 25 22 16, (+995 32) 29 38 94
ფაქსი: (+995 32) 25 22 17

ავტორები: მაია გოგოლაძე
მანანა ჯინჭარაძე

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC

წიგნი გამოიცა შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს დაფინანსებით.

ფოტოსურათი ყდაზე: © IOM, 2003

დიზაინერი: ნუკა ტოტოსაშვილი

ყველა უფლება დაცულია. გამომცემლის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე დაუშვებელია ამ გამოცემის რომელიმე ნაწილის გამრავლება, საინფორმაციო სისტემაში შეყვანა ან გაგზავნა ნებისმიერი ფორმით ან საშუალებით, მათ შორის, ელექტრონული, მექანიკური, ფოტოკოპირებით, ჩაწერით ან რაიმე სხვა სახით.

ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს IOM-ის მოსაზრებებსა და შეხედულებებს.

წინასიტყვაობა

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, ითვალისწინებს რა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მთავრობის სამოქმედო გეგმის მოთხოვნებს, მიესალმება მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან ერთად საქართველოს საჯარო სკოლების მოსწავლეებისათვის ამ თემაზე სასწავლო მასალის შექმნას.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიხედვით, მოზარდი უნდა აღიზარდოს მაღალზნეობრივ ღირებულებებზე, იცოდეს კანონის, ადამიანის ღირსებისა და უფლებების პატივისცემა; შეძლოს საჭირო ინფორმაციის მოპოვება, პრობლემების გააზრება და სირთულეების გადაჭრის გზის დასახვა; უნდა იყოს პატრიოტი, დამოუკიდებელი, შემოქმედებითი, საკუთარი შესაძლებლობების მუდმივად განვითარების შემძლე, ინფორმირებული და ამ ცოდნის ადეკვატურად გამოყენების უნარის მქონე.

მხოლოდ ინფორმირებული, საკუთარ ცხოვრებაზე პასუხისმგებელი მოზარდი შეძლებს გააცნობიეროს ის რეალობა, რაც შეიძლება ტრეფიკინგს მოყვეს.

სამწუხაროდ, თანამედროვე მონობად წოდებულ ამ მძიმე მოვლენას ჩვენმა ქვეყანამ გვერდი ვერ აუარა. შემაშფოთებელია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მასშტაბები და დაუნდობელი ფორმები კიდევ უფრო იმიტომაც, რომ მისი მსხვერპლი შეიძლება ბავშვი გახდეს.

წარმოდგენილი პუბლიკაცია, მასში გადმოცემული ნათლად გაშლილი ტრეფიკინგის თემა, საფრთხეების დროულად ამოცნობა, პრობლემისაგან თავის დაღწევის გზები საშუალებას იძლევა მოზარდი ამ გლობალური პრობლემისგან დაიცვა. მთავარია, რომ მოზარდებმა კარგად გაიაზრონ, თუ რა საფრთხე შეიძლება დაემუქროთ ტრეფიკინგის სახით და როგორ აიცილონ იგი თავიდან. საჭიროების შემთხვევაში კი – ვის და როგორ მიმართონ დახმარებისათვის.

ვიმედოვნებთ, აქ მოცემული სპეციალურად შემუშავებული სასწავლო მასალა, ინტერაქტიული მეთოდებისა და ხერხების გამოყენებით შესძენს ჩვენს მოზარდებს იმ უნარ-ჩვევებს, რომლებიც მათ შემდგომ ცხოვრებაში სწორი არჩევანის გაკეთებასა და მყარი ნაბიჯების გადადგმაში დაეხმარებათ.

ნათია ჯოხაძე

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და
შეფასების ცენტრის დირექტორი

trefikingi masc.indd 3 12.06.2010 10:52:55

პროექტის შესახებ

პროექტს ახორციელებს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM). პროექტში IOM-თან ერთად აქტიურად მონაწილეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ასევე, პარტნიორები სამთავრობო და არასამთავრობო სექტორიდან. პროექტი ხორციელდება შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით.

პროექტის მიზნები

- ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე, ისეთი საგანმანათლებლო მასალის შექმნა და გავრცელება, რომლის მეშვეობითაც საქართველოს საშუალო სკოლის მოსწავლეები, მათი მასწავლებლები და მშობლები უკეთ გააცნობიერებენ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საფრთხეს, მიგრაციასთან დაკავშირებულ რეალობას და გაიაზრებენ პრევენციის ხელმისაწვდომ მექანიზმს.

- განათლების სამინისტროს როლის ამაღლება, ეროვნული სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრობლემებზე მუშაობისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში.

- ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) დაკავშირებული რისკის სათანადოდ გააზრების, შესაბამისი ცოდნითა და უნარით აღჭურვის მიზნით, მასწავლებელთა მომზადება სპეციალური სასწავლო პროგრამით, რომ ყოველივე ეს გადასცენ 15-დან 17 წლამდე ასაკის სკოლის მოსწავლეებს, რათა მათ გამოუმუშავდეთ ცხოვრებაში სირთულეების გადაჭრის გზის დასახვის უნარ-ჩვევები.

- ისეთი სასწავლო მასალის შექმნა, რომელიც საპილოტე ტესტირების შესაძლებლობას იძლევა და მის შემდგომ ადაპტირებას ითვალისწინებს. საკითხები ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე ჩართული უნდა იქნეს განათლების ეროვნული სისტემის კურიკულუმში, ხოლო სასწავლო მასალა, მზა პროდუქტის სახით, შევიდეს შესაბამის სახელმძღვანელოებში.

აღსანიშნავია, რომ სასწავლო მასალაში მოცემული საკითხები ეხმაურება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, რაც ითვალისწინებს მაღალზნეობრივი, კანონის მცოდნე და კანონმორჩილი ადამიანის ღირსებისა და უფლებების პატივისმცემელი ახალგაზრდების აღზრდას, რომლებსაც შესწევთ უნარი, სწორად გაიაზრონ პრობლემები, მოიპოვონ საჭირო ინფორმაცია და რთულ ცხოვრებისეულ სიტუაციებში შეძლონ სწორი არჩევანის გაკეთება.

trefikingi masc.indd 4 12.06.2010 10:52:55

სასწავლო მასალის კონცეფცია

ვისაც კი ოდესმე უმუშავია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე, მან იცის, რომ ეს უაღრესად ფაქიზი და სათუთი თემაა. განსაკუთრებით, მაშინ, როდესაც მოზარდებს ვესაუბრებით. გარდა სხვადასხვა საშუალებით მიღებული ინფორმაციისა, მოზარდებში მყარად არის ფესვგადგმული ამ თემასთან დაკავშირებული სტერეოტიპები.

ვფიქრობთ, რომ ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფკინგთან) დაკავშირებული არასწორი ინფორმაცია ძალიან ფრთხილ კორექციას საჭიროებს, რადგან ამ შემთხვევაში, აუცილებელია, როგორც შეძენილ ცოდნაზე, ასევე მოსწავლების ემოციასა და ქცევაზე ზემოქმედება.

სწავლების კონცეფციის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია „არ ავნო“. სასწავლო მასალა ისეა შედგენილი, რომ მან მოზარდში დადებითი ემოციები გამოიწვიოს.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, სასწავლო მასალა სწავლების ინტერაქტიულ მოდელს ეფუძნება და დაგეგმილი აქტივობები ცოდნის გაღრმავებასთან ერთად, მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევების გამომუშავებას უწყობს ხელს.

წინამდებარე რეკომენდაციები დაჩქარებული სწავლების მთავარ პრინციპებზეა დაფუძნებული, რაც მდგომარეობს შემდეგში:

- სწავლის პროცესში ჩართულია როგორც გონება, ასევე მთელი სხეული და გრძნობის ყველა ორგანო;
- სწავლა არის შემოქმედებითი საქმიანობა და არა ინფორმაციის დაგროვება;
- მოსწავლისა და მასწავლებლის, აგრეთვე, მოსწავლეების ურთიერთთანამშრომლობა ხელს უწყობს სწავლის პროცესს;
- დადებითი ემოციები აუმჯობესებს სწავლის შედეგებს;
- წარმოსახვის საშუალებით გონება სწრაფად და ავტომატურად ითვისებს მიწოდებულ მასალას.

trefikingi masc.indd 5 12.06.2010 10:52:56

მეთოდური მითითებები

თანამედროვე პედაგოგიკაში, ძირითადად, სწავლების შემდეგი მეთოდები გამოიყოფა:

- სასწავლო-კვლევითი საქმიანობა (ახალი ცოდნის მოძიება; გამოცდილების, უნარ-ჩვევების ათვისება);
- კონკრეტული დავალების მომზადება („ტექნოლოგიურად“ აგებული გაკვეთილი);
- თამაშის ორგანიზება (სიტუაციური მოდელირება, როლებში თამაში);
- დისკუსია – დიალოგი, კომუნიკაცია.

ტექნოლოგიური სწავლების მეთოდი

- შედეგზე ორიენტირებული კონკრეტული სასწავლო მიზნების დასახვა;
- სასწავლო მასალების მომზადება დასახული მიზნების შესაბამისად;
- სასწავლო პროცესში მიღწეული შედეგების შეფასება;
- საჭიროების შემთხვევაში სასწავლო პროცესის მიმართულების შეცვლა;
- საბოლოო შედეგების შეფასება.

კვლევითი სწავლების მეთოდი

სწავლების პროცესის კვლევითი მიმართულება გულისხმობს ახალი ცოდნის შეძენა-გამოყენებას, რაც აუცილებლად უშუალოდ მოსწავლეთა გამოცდილებაზე დაყრდნობით ხორციელდება.

ასეთი სწავლების მიზანია არა მხოლოდ ახალი ცოდნის შეძენა, არამედ უკვე არსებულის გადამუშავებაც. მასწავლებელმა დიალოგის, წარმოსახვის, მეტაფორის და სხვა ხერხების გამოყენებით უნდა შეძლოს მოსწავლეთა წახალისება და ხელი შეუწყოს მათი შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას.

ამგვარი პედაგოგიური მიდგომა ხელს უწყობს მოსწავლეს, ადვილად ჩასწვდეს შესასწავლი მოვლენისა თუ ცნების არსს და დამოუკიდებლად გადაჭრას არსებული პრობლემა.

trefikingi masc.indd 6 12.06.2010 10:52:56

გაკვეთილის გეგმის შედგენის მეთოდიკა

გაკვეთილის გეგმაზე მუშაობის დაწყებამდე სამ კითხვას უნდა გაეცეს პასუხი:

- როგორ უნდა მივაღწიო სასურველ შედეგს?
- რას უნდა მიაღწიონ მოსწავლეებმა?
- როგორ გავიგო, მიღწეულია თუ არა სასურველი შედეგი?

ამის შემდეგ დაიწყეთ გაკვეთილის გეგმის შედგენა. დაგეგმვის ყოველ ეტაპზე უნდა გაითვალისწინოთ შემოთავაზებული კითხვები, რაც დაგეხმარებათ, თვალნათლივ წარმოიდგინოთ გაკვეთილის მსვლელობა.

გაკვეთილის დასაწყისი მთლიანი გაკვეთილის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს და მასწავლებელს კარგად უნდა ჰქონდეს მოფიქრებული, თუ როგორ უკავშირდება გაკვეთილის დასაწყისი მის სხვა ელემენტებსა და დასასრულს.

გაკვეთილის მიზანი

გაკვეთილის მიზანი განსაზღვრავს შედეგს, ანუ იმას, თუ რას უნდა მიაღწიონ თქვენმა მოსწავლეებმა გაკვეთილზე.

- რა არის გაკვეთილის პერსპექტიული მიზნები?
- რა მიზნები გაქვთ კონკრეტულ გაკვეთილზე?
- რას ელით მოსწავლეებისაგან?
- რა ცოდნასა და უნარ-ჩვევებს შეიძენენ გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები?

გაკვეთილის ამოცანა

მასწავლებელმა უნდა ჩამოაყალიბოს, რა დავალებებს შეასრულებენ მისი მოსწავლეები გაკვეთილის მსვლელობისას.

- რას აკეთებენ მოსწავლეები გაკვეთილის მსვლელობისას?
- რომელ ეტაპზე უნდა დამთავრდეს გარკვეული სამუშაო?
- რა კრიტერიუმები გამოიყენება მოსწავლეთა მიღწევების შესაფასებლად?
- რა სახით წარმოჩნდება მიღებული ცოდნა და შეძენილი უნარ-ჩვევები?

trefikingi masc.indd 7 12.06.2010 10:52:57

აუცილებელი პირობები

უნდა განისაზღვროს, მზად არიან თუ არა მოსწავლეები მომავალი აქტივობების ჩასატარებლად და რა ცოდნა აქვთ მათ მიღებული ამ გაკვეთილამდე. აგრეთვე, რომელი საკითხები უნდა დაამუშაონ, რომ დასახულ მიზნებს მიაღწიონ.

მასალა

მასალის შერჩევის ეტაპზე იკვეთება ორი რამ: მასწავლებლის მიერ განსაზღვრული მოსამზადებელი დრო და ის რესურსები, რაც მას სჭირდება გეგმის წარმატებულად განსახორციელებლად (წიგნები, ციტატები, სამუშაო სქემები და სხვა თვალსაჩინოება).

- რა ლიტერატურაა საჭირო?
- რა აღჭურვილობაა საჭირო?
- როგორ უნდა მომზადდეს და დაიგეგმოს სამეცნიერო და პრაქტიკული სამუშაოები?

სასურველია, მასწავლებელმა იმგვარად დაგეგმოს და გადმოსცეს გაკვეთილის მსვლელობა, რომ სურვილის შემთხვევაში, ეს გეგმა კოლეგებმაც გამოიყენონ.

- რა არის მნიშვნელოვანი ამ გაკვეთილში?
- რით შევძლებთ მოსწავლეთა დაინტერესებას?
- სწავლების რომელი დონეა მისაღწევი გაკვეთილზე: ცოდნის შეძენა, ნასწავლის გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი თუ შეფასება.

გაკვეთილის მსვლელობა

გეგმის ეს ნაწილი დეტალურად აღწერს გაკვეთილს. კერძოდ, თუ როგორ უნდა განხორციელდეს გაკვეთილის მიზნები და როგორ უნდა იმუშაონ მოსწავლეებმა გაკვეთილზე. ეს პროცესი სამი ნაწილისაგან შედგება: შესავალი, მთავარი აქტივობა (ძირითადი ნაწილი) და დასკვნითი ნაწილი.

გასათვალისწინებელი პირობები:

- პირველად უნდა განისაზღვროს, მზად არიან თუ არა მოსწავლეები მომავალი აქტივობების ჩასატარებლად.
- რა ცოდნა გააჩნიათ მათ იმისათვის, რომ ახალი მასალა კარგად გაიგონ.
- რომელი საკითხები უნდა დაამუშაონ წინასწარ, რათა დასახულ მიზანს მიაღწიონ.

შესავალი

- როგორ გავაცნოთ მოსწავლეებს გაკვეთილის იდეა და მიზნები?
- როგორ მოვახერხოთ მოსწავლეთა დაინტერესება?
- როგორ შევძლოთ მოსწავლეთა ყურადღების მობილიზება?
- როგორ დავუკავშიროთ გაკვეთილის მიზნები მოსწავლეთა ინტერესებს?
- რას ელიან მოსწავლეები?

trefikingi masc.indd 8 12.06.2010 10:52:58

ძირითადი ნაწილი

- რა არის გაკვეთილის მთავარი თემა?
- რას აკეთებს მასწავლებელი იმისათვის, რომ უფრო მარტივი და საინტერესო გახადოს გაკვეთილი?
- რა მეთოდებს იყენებს მასწავლებელი?
- როგორ უნდა წარმოვაჩინოთ გაკვეთილის თემა ისე, რომ მოსწავლეებმა აშკარად დაინახონ მიღებული ცოდნის საჭიროება?
- საილუსტრაციო მაგალითების ჩამოთვლა.

დასკვნითი ნაწილი

- რა მეთოდებს მიმართავთ აზრების შესაჯამებლად გაკვეთილის ბოლოს?
- როგორ განახორციელებთ უკუკავშირს ხარვეზების შევსებისა და ცოდნის გამოყენებისათვის?

შემდგომი აქტივობები

- რა აქტივობები გამოიყენება ახსნილი მასალის ასათვისებლად?
- რომელი გაკვეთილები მოჰყვება ამ გაკვეთილს.

შინაარსობრივად გაკვეთილი სამი ფაზისაგან შედგება:

დაინტერესება (პროვოცირება), სიღრმისეული წვდომა და რეფლექსია ანუ გააზრება. როგორ ხასიათდება თითოეული ცალ-ცალკე?

დაინტერესება

გაკვეთილი იწყება მოსწალეების დაინტერესებით. ამ დროს მასწავლებელი ცდილობს მობილიზება გაუკეთოს მოსწავლეთა ცოდნას კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. კლასის მოსამზადებლად სვამს შეკითხვებს და მსჯელობას წარმართავს საჭირო მიმართულებით. მოსწავლეთა დაინტერესებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია სიტუაციური ამოცანის დაუსრულებელი ისტორიის გაგრძელება, ილუსტრაციების გამოყენება, ლექსის ან მუსიკალური ნაწარმოების მოსმენა.

სიღრმისეული წვდომა

გულისხმობს მასალის შესწავლას იმ მეთოდებით, რომლის დროსაც მივმართავთ ლექციურ ჩართვას, საკლასო დისკუსიას, ღია და დახურულ კითხვებს, სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტისა და დამატებითი ინფორმაციების გაცნობის სქემებს და ა.შ.

trefikingi masc.indd 9 12.06.2010 10:52:58

რეფლექსია (გააზრება)

შემაჯამებელი ეტაპია, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას. ეს პროცესი მოიცავს სხვადასხვა პარალელის გავლებას, მოსაზრებების გამოთქმას და მათ დასაბუთებას, მსჯელობას, გადაწყვეტილების მიღებასა და დასკვნების გამოტანას.

მასწავლებელმა უნდა შეაფასოს საკუთარი თავი. თვითშეფასებისას მან უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

- უსმენს თუ არა გულისყურით მოსწავლეებს?
- ნაწილობრივ თვითონ ხომ არ სცემს დასმულ კითხვებზე პასუხს?
- აცდის თუ არა ბოლომდე მოსწავლეებს აზრის გამოთქმას?
- შეუძლია თუ არა ემოციების მართვა და თავის შეკავება პირველადი რეაქციისაგან?
- მოაქვს თუ არა შედეგი მის მითითებებს, რომელსაც მუდმივად იმეორებს გაკვეთილზე?
- გაკვეთილზე მასწავლებლის აქტივობა ხომ არ სჭარბობს მოსწავლეთა აქტივობას?

გონებრივი „იერიში“ („ბრეინსტორმინგი“)

მეთოდი შედგება რამდენიმე ეტაპისაგან:

I ეტაპი – **მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, თავისუფლად გამოთქვან მოსაზრებები ამა თუ იმ საკითხზე. მასწავლებელმა გარკვევით უნდა ჩამოაყალიბოს კითხვა, მიიღოს ყველასაგან პასუხი და მოსწავლეებს მოუწოდოს, თავი შეიკავონ კამათის, შეფასებისა და დაცინვისაგან.**

II ეტაპი – **მოსწავლეები აანალიზებენ მიღებულ პასუხებს ან მსჯელობენ ამის შესახებ ჯგუფებში.**

III ეტაპი – **მასწავლებელი შეაფასებს მოსწავლეების პასუხებს და ალაგებს მათ გარკვეული სისტემით.**

ეს მეთოდი განსაკუთრებით ეფექტურია ახალი იდეების გამოსავლენად.

გონებრივი „იერიშის“ დროს მასწავლებელი:

- თემას გააცნობს ზეპირად ან დაწერს დაფაზე;
- უზრუნველყოფს გაკვეთილის მსვლელობაში ყველა მოსწავლის ჩართვას (არ არის აუცილებელი თანამიმდევრობის დაწესება);
- დაფაზე ჩამოწერს თემასთან დაკავშირებულ ყველა იდეასა და წინადადებას (სასურველია, მოკლე, ლაკონური წინადადებები);
- პატივს სცემს გაკვეთილზე გამოთქმულ ყველა აზრს (ხანდახან, ერთი შეხედვით, მიუღებელი აზრიც კი, მეტად საგულისხმო აღმოჩნდება ხოლმე);

trefikingi masc.indd 10 12.06.2010 10:52:58

- უხსნის მოსწავლეებს, რომ სანამ აზრების გამოთქმა არ დამთავრდება, კომენტარებისაგან თავი შეიკავონ;
- ყურადღებით ადევნებს თვალს ყველა პროცედურას;
- საბოლოო შედეგებს მოსწავლეებთან ერთად გადახედავს და შესაძლებლობას აძლევს მათ კონკრეტული თემა გაანალიზონ, იკამათონ მის გარშემო და პრიორიტეტები მიანიჭონ გარკვეულ საკითხებს.

პრიორიტეტების მინიჭების ტექნიკა

ამ მეთოდს მაშინ იყენებენ, როდესაც დროის ძალიან მცირე მონაკვეთში მრავალი საკითხიდან ერთი (ან რამდენიმე) უნდა შეირჩეს. აქაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველა მოსწავლის აზრია გასათვალისწინებელი.

პრიორიტეტების მინიჭების პროცედურა:

- ყველა საკითხი ჩამოწერეთ დაფაზე (ფორმატზე).
- საკითხები დანომრეთ.
- დაყავით მოცემული საკითხები ორად.

დისკუსია

დისკუსია ინტერაქტიური მეთოდიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა. გარდა იმისა, რომ დისკუსიის დროს ვლინდება მოსწავლეთა დამოკიდებულება პრობლემისადმი, მათ უვითარდებათ ისეთი უნარ-ჩვევები, როგორიცაა: სხვისი აზრის მოსმენა, გაზიარება და პატივისცემა. აგრეთვე, საკუთარი აზრის გამოთქმა და დასაბუთება. დისკუსიის წარმართვისათვის აუცილებელია მისი სწორად ორგანიზება და რეგულირება. მასწავლებელმა უნდა მოახერხოს მოსწავლეებს შორის ურთიერთპატივისცემისა და კეთილგანწყობის ატმოსფეროს შექმნა. შესთავაზოს მათ გარკვეული წესების დაცვა, მაგალითად: აცადონ ერთმანეთს საუბარი, არ დასცინონ ერთმანეთს და სხვა. დისკუსიის დროს შესაძლებელია მთავარი თემის გარდა სხვა თემებიც გამოიკვეთოს.

გავრცელებულია დისკუსიის შემდეგი ფორმები:

- ***„მრგვალი მაგიდა“*** – საუბარი, რომელშიც თანაბარ საწყისებზე მონაწილეობენ მოსწავლეთა მცირე ჯგუფები (4-5 კაცი). მიმდინარეობს აზრების ურთიერთგაცვლა, როგორც ერთმანეთთან, ასევე სხვა ჯგუფებთან.
- ***„ფორუმი“*** – ჯგუფს ჰყავს წინასწარ არჩეული ლიდერი. ჯგუფი საკითხს განიხილავს დამოუკიდებლად და შემდეგ წარუდგენს კლასს. ჯგუფის თითოეულ წევრს თავისი მოსაზრებების საჯაროდ გამოთქმის უფლება აქვს.
- ***„სიმპოზიუმი“*** – მონაწილეები გამოდიან განცხადებებით და გამოაქვთ დასკვნები, გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ, პასუხობენ კლასის შეკითხვებს.
- ***„სასამართლო სხდომა“*** – მსჯელობა, რომელიც სასამართლოში საქმის განხილვის იმიტირებას წარმოადგენს.

trefikingi masc.indd 11 12.06.2010 10:52:59

როგორ წარმართოთ დისკუსიები?

- მასწავლებელმა კარგად უნდა გაიაზროს, რა მიზანს ემსახურება დისკუსია;
- სადისკუსიო კითხვა მოსწავლეებისათვის აშკარა და გასაგები უნდა იყოს;
- დაუშვებელია მოსწავლეებისთვის დისკუსიაში მონაწილეობის მიღების დაძალება;
- მიუღებელია მოსწავლეთა პასუხების გაკრიტიკება;
- დისკუსიის მსვლელობისას, მასწავლებელმა უნდა აკონტროლოს, რომ მოსწავლეთა პასუხები არ აცდეს დისკუსიის თემას;
- დისკუსია არ უნდა გადაიზარდოს უაზრო კამათში;
- დისკუსიის დაწყებისას აუცილებლად უნდა გავაფრთხილოთ მოსწავლეები, დაიცვან რეგლამენტი;
- მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ იმ მითითებების პატივისცემა, რომლებსაც მათ უფროსები სთავაზობენ.

როგორ წარმართოთ განხილვა დიდ ჯგუფებში?

დიდ ჯგუფში დისკუსიის ჩატარება სასარგებლოა იმით, რომ საშუალება გვეძლევა გავეცნოთ მეტი მოსწავლის აზრს, გამოცდილებას და ყველა დამსწრეზე სათანადო დასკვნა გამოვიტანოთ. მასწავლებელმა დისკუსიაში მონაწილეობის მისაღებად თანაბრად უნდა წაახალისოს მოსწავლეები. ასე მთელი ჯგუფი განიხილავს საკითხს ან მოვლენას, რომელიც ეხება გარკვეულ თემას. განხილვა უნდა აიგოს წინასწარ დაგეგმილი და იმპროვიზებული თემების გარშემო.

- დიდ ჯგუფებში განხილვის ეფექტურობის გასაღებია ის, თუ როგორ სვამს მასწავლებელი კითხვას. ასეთ შემთხვევაში, მასწავლებელმა თავი უნდა აარიდოს დახურულ კითხვებს, ე.ი. ისეთებს, რომლებზედაც შესაძლებელია მხოლოდ მოკლე პასუხის, „კი“ან „არა“ გაცემა. მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს კითხვები: „როგორ?“, „რატომ?“, „როგორი?“. ამასთანავე, იდეების გამოთქმისათვის ყველა მონაწილე უნდა წახალისდეს.

- სასწავლო ატმოსფეროს შექმნაში გადამწყვეტია, ის ფაქტორი, თუ როგორ რეაგირებს მასწავლებელი მოსწავლეთა შეკითხვებსა და კომენტარებზე. მან ყურადღება უნდა გამოიჩინოს ყველას მიმართ, მადლობა გადაუხადოს თითოული კითხვისა და გამონათქვამის ავტორს. ყოველივე ეს სტიმულს აძლევს მოსწავლეებს, გააგრძელონ იმ ინფორმაციის ათვისება, რომელსაც სხვა შემთხვევაში ისინი აღიქვამენ როგორც მოსაწყენსა და ზედმეტს.

- დისკუსიის დროს მასწავლებელი ცდილობს ჯგუფზე რომელიმე მოსწავლის აზრი არ დომინირებდეს. ამის შეზღუდვა კი შესაძლებელია შემდეგი ფრაზებით: „მე მსურს, ყველამ გამოხატოს თავისი აზრი“, „მოდით, ახლა მოვუსმინოთ, რას იტყვის თქვენი მეგობარი.....“(იგულისხმება მოსწავლეების სახელები).

trefikingi masc.indd 12 12.06.2010 10:52:59

როგორ წარვმართოთ განხილვა მცირე ჯგუფებში?

მცირე ჯგუფებში განხილვაში მონაწილეობს 5-6 ადამიანი. მონაწილეები იხილავენ მათთვის საჭირბოროტო საკითხებს, სვამენ კითხვებს და ეძებენ წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტის შესაძლო გზებს, აფასებენ სხვადასხვა სიტუაციასა და მოსაზრებებს.

რატომ არის მნიშვნელოვანი მცირე ჯგუფებში მუშაობა?

- მცირე ჯგუფებში მუშაობა უფრო მეტი მეთოდისა და ფორმის გამოყენების საშუალებას იძლევა, ვიდრე დიდ ჯგუფებში.
- მცირე ჯგუფებში ჩატარებული დისკუსიები ეფექტურს ხდის გუნდურ მუშაობას. აზრთა სხვადასხვაობა მონაწილეებს ეხმარება, დააფასონ ერთმანეთის იდეები და თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენონ ისინი. აზრების თავისუფალი გამოთქმა კი ეხმარება მათ, გააცნობიერონ საკუთარი რესურსების მნიშვნელობა და გააძლიერონ ისინი.

კითხვების დასმა და პასუხზე რეაგირება

მასწავლებელი ხშირად უსვამს მოსწავლეებს კითხვებს.

მოსწავლეების ყურადღებას ამახვილებენ ორი ტიპის, დახურულ და ღია, კითხვაზე.

დახურული კითხვა მოითხოვს ზუსტ, ერთადერთ სწორ პასუხს და ორიენტირებულია ფაქტობრივ ცოდნაზე.

ღია კითხვა – მოითხოვს გავრცობილ პასუხს. ამასთანავე, შეიძლება იყოს რამდენიმე სწორი პასუხი, მათგან – ბევრი სადავოც.

ღია კითხვები შეიძლება დავყოთ რამდენიმე ჯგუფად:

- **ჰიპოთეზური:** *„რას იფიქრებ და მოიმოქმედებ შენ, თუ...?“*
- **განსჯითი:** *„როგორ შეგვიძლია ხელი შევუწყოთ ამ პრობლემის გადაჭრას?“*
- **წამახალისებელი:** *„საინტერესოა, რა მოხდა შემდეგ?“*ეს კითხვა მოსწავლეს ეხმარება თავისი შთაბეჭდილებებისა და გამოცდილების გაზიარებასა და გადმოცემაში.

- **მასტიმულირებელი:** *„რა აზრის ხარ?“*ამით მასწავლებელი აგრძნობინებს მოსწავლეს, რომ მისი აზრი მნიშვნელოვანი და საინტერესოა.

- **კვლევითი:** *„რატომ ფიქრობ ასე?“*ეს კითხვა მასწავლებელმა მოსწავლეს უნდა დაუსვას არა აგრესიული ან გამომცდელი ტონით, არამედ ინტერესით, რათა ბავშვმა იგრძნოს, რომ მისი პასუხი აინტერესებთ. ეს ხელს უწყობს ბავშვს, ჩაუფიქრდეს საკითხს, განუვითარდეს ანალიზის, მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარი.

- **შემაჯამებელი:** „თუ სწორად გავიგე, შენ ფიქრობ, რომ...“ ეს კითხვა მოიცავს მოსწავლეების მოსაზრებების შეჯამებას და იმის შემოწმებას, სწორად გაიგო თუ არა

trefikingi masc.indd 13 12.06.2010 10:52:59

მათი ნააზრევი მასწავლებელმა. ამ დროს სხვა მოსწავლეებს კიდევ ერთხელ ეძლევათ საშუალება, გააანალიზონ მეგობრის მოსაზრება და განსაზღვრონ, ეთანხმებიან თუ არა მას.

- **შემათანხმებელი:** „ეთანხმებით თუ არა გამოთქმულ მოსაზრებას?“ ამ კითხვამ შეიძლება კამათი გამოიწვიოს ან პირიქით, დაასრულოს კამათი. ერთ შემთხვევაში, მასწავლებელი უნდა ეცადოს შეთანხმების მიღწევას ან, თუ ეს შეუძლებელია, დააფიქსიროს განსხვავებული აზრი და საკითხი დატოვოს ღიად. მეორე შემთხვევაში, კითხვით – „შეიძლება თუ არა ეს საკითხი გარკვეულად ჩაითვალოს?“ – იგი ამთავრებს ერთ თემას და გადადის შემდეგზე.

კითხვის დასმის დროს აუცილებელია:

- კითხვა ჩამოყალიბებული იყოს გასაგებად;
- კითხვა არ შეიცავდეს პასუხს;
- ინტონაცია არ მიანიშნებდეს სასურველ პასუხს;
- სასურველია, არ დაისვას ისეთი კითხვები, რომლებიც ითხოვენ პასუხს „დიახ“ ან „არა“;
- კითხვაზე პასუხის გაცემის საშუალება ყველა მსურველს უნდა მიეცეს. სასურველია, მასწავლებელმა პასუხის მიმართ არ გამოხატოს თავისი დამოკიდებულება (დადებითი ან უარყოფითი), ვიდრე ყველა პასუხს არ მოისმენს. არასწორ პასუხზე მძაფრი რეაგირება დაუშვებელია. კარგი იქნება, თუ მასწავლებელი მოსწავლეებს საშუალებას მისცემს ერთმანეთს დაუსაბუთონ თავიანთი პასუხების სისწორე და მხლოდ ბოლოს გამოთქვამს საკუთარ აზრს. მოსწავლე აგრესიული პასუხისთვისაც არ უნდა დაიტუქსოს.

საყურადღებო მიმართულებები

- სავარაუდო კითხვებია: *„რას იზამდით?“„რას იფიქრებდით, რომ?“*
  ასეთი კითხვები მოსწავლეებს ეხმარება სიტუაციის წარმოდგენასა და ფიქრში.

- გამამხნევებელი, მხარდამჭერი კითხვებია: *„რას ფიქრობთ?“ „როგორ გგონიათ?“*
  ამ კითხვით მასწავლებელი მოსწავლეს აგრძნობინებს, რომ მისი აზრი მნიშვნელოვანი და საინტერესოა.

- აზრის გამოსარკვევი კითხვა: *„რატომ ფიქრობთ ასე?“*
  თუ ეს კითხვა მასწავლებლის მიერ საჭირო დროს, თანაც არააგრესიულად დაისმება, მოსწავლეებს დაეხმარება, დაფიქრდნენ და გააანალიზონ თავიანთი მოსაზრებები.

- შემაჯამებელი კითხვა: *„მართალია?“„თქვენ ფიქრობთ, რომ?“*
  მოსწავლის მიერ გამოთქმული აზრების შეჯამება და იმის შემოწმება, სწორად გაიგეს თუ არა ბავშვებმა მასწავლებლის ნათქვამი, მოსწავლეებს ეხმარება, გაიაზრონ, ეთანხმებიან თუ არა წარმოთქმულს.

- თანხმობის დასადგენი კითხვა: *„უმეტესობა ეთანხმებით, რომ?“*
  ამ კითხვამ შეიძლება დაასრულოს დისკუსია ან დასასრულისკენ წაიყვანოს იგი. ხოლო შემდეგი კითხვით, *„დავასრულოთ ეს ნაწილი?“* შეგვიძლია დავეთანხმოთ მონაწილეებს და შემდეგ თემაზე გადავიდეთ.

trefikingi masc.indd 14 12.06.2010 10:53:00

მასწავლებელი ყოველთვის უნდა ცდილობდეს, არ დასვას ადვილად მისახვედრი კითხვები, რადგან ეს მოსწავლეებს აქტიურობის ხალისს უკარგავს. უნდა მოერიდოს ერთდროულად რამდენიმე, განსაკუთრებით, ორაზროვანი კითხვის დასმას. და ბოლოს, მასწავლებელმა უნდა დაიმახსოვროს, რომ დროდადრო თავის დაქნევა, გაღიმება ან მოსწავლეების გვერდით ჯდომა, აუმჯობესებს მათ ინტერესს გაკვეთილისადმი და შესაბამისად, აქტივობაც იზრდება.

ჯგუფური მუშაობა

ჯგუფური მუშაობის მეშვეობით მოსწავლეებს უვითარდებათ შემდეგი უნარ-ჩვევები:

- აზრის გამოთქმა და მისი დასაბუთება, ერთმანეთის მოსმენა და სხვისი აზრის პატივისცემა;
- კრიტიკული შეფასება;
- თანამშრომლობა;
- საერთო დასკვნამდე მისვლა.

ხშირად, ჯგუფური მუშაობით მიიღწევა მოსწავლეთა მორცხვობის დაძლევაც.

ჯგუფური მუშაობის წესები:

- ჯგუფი ისმენს ყველა მონაწილის აზრს;
- ერთი მონაწილე აკეთებს ჩანაწერს;
- ჯგუფი მუშაობს ისე, რომ ხელი არ შეუშალოს მუშაობაში დანარჩენ ჯგუფებს;
- ჯგუფი ირჩევს წარმომადგენელს, რომელიც დანარჩენ აუდიტორიას წარუდგენს ნამუშევარს;
- დავალება სრულდება წინასწარ განსაზღვრულ დროში.

როგორ შეიძლება შეფასდეს ჯგუფური მუშაობა

ჯგუფური დავალების შემდეგ, მასწავლებელი შემაჯამებელ კითხვებს ურიგებს მოსწავლეებს ჯგუფში განსახილველად:

- როგორ იმუშავა ჯგუფმა ამ დავალების შესასრულებლად? რა პრობლემები წარმოიშვა მუშაობისას? რა იყო მნიშვნელოვანი?
- პირადად შენ, რა გააკეთე ჯგუფში ისეთი, რითაც ხელი შეუწყვე თანაგუნდელებს ამ დავალების წარმატებით განხორციელებაში?
- რამ გააძნელა ჯგუფში მუშაობა?
- რა შეიძლებოდა, გაგეკეთებინათ უკეთესი შედეგის მისაღწევად?
- მომავალში როგორ იმუშავებს თქვენი ჯგუფი, დღევანდელისაგან განსხვავებით?
- რა ისწავლეთ დღეს ჯგუფში მუშაობით ისეთი, რაც დაგეხმარებათ სხვა ჯგუფში მუშაობისას?

ეს სავარჯიშო ადვილი და სახალისოა მოსწავლეებისათვის. ისინი ერთობლივად აფასებენ გაკვეთილს.

trefikingi masc.indd 15 12.06.2010 10:53:00

პროცედურა:

- დაყავით კლასი სამად ან ოთხად. თითოეულ ჯგუფს მიეცით (ან ჯგუფმა თვითონ მოიფიქროს) თითო შესაფასებელი კითხვა, რომელსაც ჯგუფის წევრები დაუსვამენ ერთმანეთს.
- თითოეული ჯგუფი ისაუბრებს შედეგზე.
- თითოეული ჯგუფი იმსჯელებს, თუ რა შეისწავლა ამით.

დააწყვილეთ მოსწავლეები. წყვილებმა ერთმანეთს უნდა დაუსვან კითხვები და შეაფასონ ერთმანეთი (ეს სავარჯიშო ეფექტურია დიდ ჯგუფში მუშაობისას).

როგორ შევაფასოთ ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა?

კითხვები ჯგუფისათვის:

- რა მოგეწონათ დღეს თქვენი გუნდის მუშაობაში?
- ხვალ რას გააკეთებდით უკეთესად?

კითხვები მთელი კლასისათვის:

- რა უნარ-ჩვევები გამოიმუშავეთ ერთად მუშაობით?

ინდივიდუალური კითხვები

- რით დაეხმარე გუნდს?
- რისი გაკეთება შეგეძლო უკეთესად?
- დაასახელე ერთი რამ, რაც ჯგუფის წევრმა გააკეთა და ამით თავის გუნდს დაეხმარა?
- უთხარით თქვენს მეგობარს, რომ აფასებთ მის დახმარებას?
- კიდევ რისი სწავლა გსურთ ამ თემასთან დაკავშირებით?
- შეიცვალეთ თუ არა აზრი ჯგუფში მუშაობის შემდეგ?
- რა იყო საინტერესო დღევანდელ გაკვეთილში?
- რა არ იყო საინტერესო?
- რა იყო გაუგებარი?
- რაიმე კითხვა ხომ არ გაგიჩნდათ, რომელზედაც პასუხი არ მიგიღიათ?

მოსწავლეთა მიერ გაკვეთილის შეფასება

სავარჯიშო საშუალებას მოგცემთ შეამოწმოთ, რამდენად სასარგებლო იყო ეს გაკვეთილი მოსწავლეებისათვის და რამდენად გაამართლა მათი მოლოდინი.

გაკვეთილის დასაწყისში, მას შემდეგ, რაც თემას წარადგენთ, თხოვეთ, მოსწავლეებს ჩამოწერონ, რას ელოდებიან გაკვეთილისაგან.

გაკვეთილის ბოლოს კი ჩამოათვლევინეთ, რა მიზნები განხორციელდა და რა არა. გაგიზიარონ, თუ როგორ აპირებენ, გამოიყენონ თავიანთი ცოდნა.

ის, ვინც ფიქრობს, რომ გაკვეთილმა ბევრი რამ მისცა, დადგეს მარცხნივ.

ის, ვინც ფიქრობს, რომ გაკვეთილიდან ბევრი არაფერი მიუღია, დადგეს მარჯვნივ.

თუ ამის საშუალება არსებობს, თითოეულმა ჯგუფმა უნდა დაასაბუთოს თავისი მოსაზრება.

trefikingi masc.indd 16 12.06.2010 10:53:01

მასწავლებლის თვითშეფასების სავარჯიშო:

(ეს კითხვები მასწავლებელს დაეხმარება მის მიერ ჩატარებული გაკვეთილისა თუ ჯგუფის მეცადინეობის შეჯამებაში)

- რა გამოცდილება შევმატე ჩემს თავს ამ გაკვეთილით?
- რა შევიძინეთ მე და კლასმა ერთად მუშაობით?
- რა უნარ-ჩვევები შევიძინეთ ან გავიუმჯობესეთ?
- რა უპირატესობა აქვს ჯგუფებში მუშაობას?
- რა ნაკლი აქვს ჯგუფებში მუშაობას?
- რა გავაკეთე ახალი?
- რა ვერ გავაკეთე?
- როგორ გამოვასწორო პრობლემის გადაჭრის უნარი?
- რას გავაკეთებ იმავე თემის გასავითარებლად?

ცოდნა და ფაქტების გახსენება

ამ ეტაპზე (საწყისი საფეხური) მოსწავლემ გონებაში უნდა აღიდგინოს ინფორმაცია, რომელიც რაიმე ნიშნით უკავშირდება საგაკვეთილო თემას.

► ცოდნა გულისხმობს:

- ფაქტების, წესების, პრინციპების, თეორიების, თარიღების, პროცესების, ობიექტების, სტილის, მოვლენების ცნობა და დასახელება;
- კონკრეტული მონაცემების, ტერმინოლოგიის, პროცედურების ცოდნა;
- ინფორმაციის მოძიების პროცედურების ცოდნა;
- კონკრეტულ მონაცემებთან მუშაობის ხერხების და საშუალებების ცოდნა, კერძოდ, წესებისა და კანონების, კლასიფიციისა და კატეგორიების, კრიტერიუმების და მეთოდების ცოდნა;
- სმენითი, მხედველობითი და გრაფიკული ინფორმაციის დამახსოვრება და ზუსტად ან დაახლოებით გახსენება.

გაგება

მოსწავლე კომუნიკაციის გზით შეიმეცნებს ახალ მასალას და იძენს ცოდნას (მასალის არსში წვდომის უნარი).

► გაგება გულისხმობს:

- ფაქტების, წესების, პრინციპების, თეორიების, პროცესების, ობიექტების, სტილის, მოვლენების საკუთარი სიტყვებით აღწერა;
- ტექსტის ძირითადი აზრის საკუთარი სიტყვებით ახსნა მშობლიურ ენაზე;
- ტექსტის შინაარსის გაგებისკენ მიმართულ კითხვაზე პასუხის გაცემა;
- სმენითი, მხედველობითი და გრაფიკული ინფორმაციის ერთი ფორმიდან მეორეში გადატანა;
- შესაბამისი მაგალითების მოყვანა;
- საგნების, მოვლენების, პროცესებისა და რაიმე სტილის თვალსაჩინო ნიშნით დახარისხება და დაჯგუფება.

trefikingi masc.indd 17 12.06.2010 10:53:01

გამოყენება

მოსწავლე მიღებულ ცოდნას იყენებს საჭიროებისამებრ (ნასწავლი მასალის ახალ და კონკრეტულ სიტუაციებში გამოყენების უნარი).

გამოყენება გულისხმობს:

- ცოდნის სხვადასხვა სიტუაციაში მოხმარებას;
- მოდელის მიხედვით დავალების, სამუშაოს შესრულებას;
- პროცედურის განხორციელებას;
- კანონზომიერების მოქმედების ფარგლების განსაზღვრას.

ანალიზი

მოსწავლე ნაწილებად ყოფს მიღებულ ცოდნას და ამგვარად ცდილობს გაიაზროს მისი არსი (მთლიანი მასალის დანაწილება ისე, რომ სტრუქტურა არ დაირღვეს და მთლიანობაში გასაგები იყოს).

ანალიზი გულისხმობს:

- მასალის (სტრუქტურის) შემადგენელ ნაწილებად დაყოფა, ნაწილების შედარება და შეპირისპირება, ნაწილებს შორის კავშირის აღმოჩენა და მთლიანი სტრუქტურის დანახვა;
- მოვლენის მიზეზის (დაფარული აზრის აღმოჩენა) ახსნა;
- პროცესის კანონზომიერების გამოვლენა, მიზეზებსა და შედეგებს შორის კავშირების დადგენა.

სინთეზი

მოსწავლე ამთლიანებს ელემენტებსა და ნაწილებს (ნაწილების დაკავშირების და მთლიან სტრუქტურად ჩამოყალიბების უნარი).

სინთეზი გულისხმობს:

- ნაწილების შეერთება ახალი სტრუქტურის (მაგალითად, ტექსტის) შესაქმნელად;
- ჰიპოთეზების წამოყენება;
- კვლევის ან რეფერატის დაგეგმვა;
- შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა;
- პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების წამოყენება;
- პრობლემის გადაჭრისათვის საჭირო მოქმედებების დაგეგმვა;
- ახალი პროდუქტის (ინტელექტუალური ან მატერიალური) შექმნა ან გამოყენება.

შეფასება

მოსწავლე აფასებს მასალას და იმ მეთოდებს, რომლებიც გამოიყენა დასახული მიზნის მისაღწევად.

trefikingi masc.indd 18 12.06.2010 10:53:01

შეფასება გულისხმობს:

- საკუთარი პოზიციის (არჩევანის) დასაბუთება;
- გარკვეულ კრიტერიუმებზე ან სტანდარტებზე დაყრდნობით დასკვნების გაკეთება;
- გარკვეული პოზიციისა და მისი საწინააღმდეგო არგუმენტების განხილვის საფუძველზე დასკვნის გამოტანა;
- პრობლემის გადაჭრის რამდენიმე გზიდან ერთ-ერთის არჩევის მართებულობის დასაბუთება;
- მოდელის (სისტემის) შეფასება;
- მტკიცებულების (თეორიის, პრეზენტაციის) ღირებულების (მნიშვნელოვნების) დაზუსტება;
- რამდენად შეესაბამება საბოლოო დასკვნა იმ მონაცემებს, რომელთა საფუძველზეც გაკეთდა იგი (მონაცემებისა და დასკვნების შესაბამისობის დადგენა).

წყვილებად მუშაობა

წყვილებად და ჯგუფებად მუშაობის პრინციპი ერთი და იგივეა – მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებენ აზრს და ცდილობენ, საერთო პასუხამდე მივიდნენ. ზოგ შემთხვევაში მათი ნამუშევარი შეიძლება კედელზე გამოიკრას.

ასოციაციური კავშირების რუკა და მისი შედგენის ეტაპები

- სასწავლო მიზნიდან გამომდინარე დაფის ან ფურცლის ცენტრში იწერება საკვანძო სიტყვა, ფრაზა ან გამოსახულება;
- მოსწავლეები ცდილობენ დაფის ან ფურცლის ცენტრში დაწერილ სიტყვას, ფრაზას ან გამოსახულებას ლოგიკურად დაუკავშირონ ის, რაც აზრად მოუვათ აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით;
- შესაბამისი სიტყვების ან ფრაზების ჩამოწერის შემდეგ, მოსწავლეები განმარტავენ კავშირს იმ სიტყვებსა და ფრაზებს შორის, რომლებიც, მათი აზრით, ერთმანეთთანაა დაკავშირებული;
- ასოციაციური კავშირების რუკის შედგენა გრძელდება მანამ, სანამ ამ საკითხის გარშემო მოსაზრებები ან დრო არ ამოიწურება;
- ამ მეთოდის გამოყენება შეიძლება ინდივიდუალურად, წყვილებად და ჯგუფებად მუშაობისას.

დაუსრულებელი ისტორია

დაუსრულებული ისტორია ჯგუფებად მუშაობის ერთ-ერთი ფორმაა. რომელიც ავითარებს მოსწავლის ფანტაზიას და შემოქმედებით აზროვნებას. იგი ჯგუფებად მუშაობისათვის დამახასიათებელ ყველა უნარ-ჩვევის გამოყენებას მოითხოვს.

ამ მეთოდის გამოყენების დროს ჯგუფები ყურადღებთ ისმენენ მასწავლებლის მიერ შემოთავაზებულ ამბავს. ამბავი კი თვითონ ჯგუფებმა უნდა დაასრულონ. მათ ამისათვის ეძლევათ შესაბამისი დრო, რომელსაც მასწავლებელი განსაზღვრავს. ამ პროცესის მიმდინარეობის დროს ჯგუფის წევრები ფიქრობენ, მსჯელობენ, გამოთქვამენ და ასაბუთებენ საკუთარ აზრს. ამასთანავე იზიარებენ ერთმანეთის მოსაზრებებს, თანხმდებიან და ერთად იგონებენ ამბის დასასრულს. შემდეგ კი, უკვე წერილობით აყალიბებენ შეთანხმებულ საბოლოო ვარიანტს. შეიძლება, ასევე, თავიანთი ნამუშევრები ილუსტრაციებით გააფორმონ, ამით პრეზენტაცია უფრო საინტერესო გახდება.

ასეთი სახის სამუშაო ხატვის დიდ ნიჭს არ მოითხოვს. ეს შეიძლება იყოს მარტივი ნახატი ან დიაგრამა. შეიძლება შეიცავდეს სიტყვებს, მაგრამ არა წინადადებებს. ამ სამუშაოს აზრი იმაში მდგომარეობს, რომ თითოეულმა წევრმა უნდა გამოხატოს თავისი აზრი ან იდეა ნახატის საშუალებით, ჯგუფი მზად უნდა იყოს იმისათვის, რომ თავისი ნააზრევი სხვებს გაუზიაროს.

trefikingi masc.indd 19 12.06.2010 10:53:01

სასარგებლო რჩევები

სწავლებაში მეტი ეფექტურობის მისაღწევად, სასურველია, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და არალეგალური მიგრაციის თემაზე მოსწავლეთა ცოდნის, ათვისების უნარისა და სხვა უნარ-ჩვევების გამოკვლევა და, საჭიროების შემთხვევაში, გაკვეთილის გეგმაში ცვლილებების შეტანა. ამ მიზნით, გაკვეთილის დასაწყისშივე გამოიყენეთ სხვადასხვა ტიპის კითხვები. ამით მოსწავლეებში საკითხისადმი ინტერესსაც გააღვიძებთ.

აუცილებელია, რომ ნათლად განისაზღვროს გაკვეთილის სასწავლო მიზნები: რას უნდა მიაღწიოთ სწავლის პროცესში? რა ცოდნა და უნარ-ჩვევები უნდა შეიძინონ მოსწავლეებმა?

სასწავლო მიზნები უნდა იყოს გასაგები და მოსწავლეებისთვის მისაღებ ენაზე ჩამოყალიბებული. მას უნდა ახლდეს მტკიცებულება (მაგ., "გაკვეთილის ბოლოს ჩვენ ვისწავლით/გვეცოდნება..."). გაკვეთილის მსვლელობის დროს სასწავლო მიზნები თვალსაჩინო ადგილზე უნდა იყოს გაკრული, რადგან მათი გამეორება მოსწავლეებს ეხმარება, ღრმად გააცნობიერონ დასახული მიზნები.

ცნობილია, რომ მოსწავლეები გაცილებით კარგად სწავლობენ, როდესაც მასწავლებლები მრავალფეროვან სასწავლო მეთოდებს იყენებენ. გაკვეთილები სასურველია შეიცავდეს: ვერბალურ ინფორმაციას (ისტორიების მოყოლა, როლებში თამაში), თვალსაჩინოებას (სურათები, სხვადასხვა გამოსახულებები), სავარჯიშოებს (თამაშები, სიტუაციური ამოცანები), დისკუსიას (კითხვა-პასუხი, წყვილებად მუშაობა, ჯგუფებად მუშაობა), ფიქრისა და აზროვნების დემონსტრირებას (საკლასო ან ჯგუფური დისკუსიები, პრობლემის გადაჭრის სავარჯიშოები).

მოსწავლეები გამოცდილებას შრომის პროცესში იძენენ, როცა ისინი წერენ, კითხულობენ, თხზავენ და წყვეტენ ამა თუ იმ პრობლემას, ჩართული არიან ისეთ საქმიანობაში, რომელიც ეხება მათ ინტერესებსა და პრობლემებს, სკოლაში მიღებულ ცოდნას უკავშირებენ სკოლის გარეთ მიღებულ ინფორმაციას. შეადგინეთ სავარჯიშოები მოზარდთა სწორედ ამ ფსიქოლოგიური ასპექტების გათვალისწინებით.

სავარჯიშოები ისე შეადგინეთ, რომ მიაღწიოთ მთავარი მიზანს – მოსწავლეები დაფიქრდნენ პრობლემის არსზე, ჰქონდეთ საკუთარი მოსაზრებებისა და გრძნობების თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა.

მოსწავლეებში საკითხის შესწავლის მოტივაციის ასამაღლებლად გამოიყენეთ შესაბამისი მასალა (საშუალო სირთულის), უზრუნველყავით მოსწავლეების აქტიური ჩართვა სასწავლო პროცესში, ესაუბრეთ ცოცხალი, კონკრეტული და ადვილად გასაგები მაგალითებით. თქვენ მიერ მომზადებული ნებისმიერი სასწავლო აქტივობა ისე უნდა იყოს დაგეგმილი, რომ მოზარდში დადებითი ემოციები გამოიწვიოს, რადგან ეს აუმჯობესებს შემეცნებითი აღქმის უნარს.

trefikingi masc.indd 20 12.06.2010 10:53:02

სასწავლო მასალის მიხედვით გათვალისწინებული აქტივობები არ უნდა იყოს აგებული მაინცდამაინც დიდი მოცულობის ინფორმაციის დამახსოვრებაზე. საკითხის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ასეთი ტიპის გაკვეთილებზე მიღებული ცოდნა უნდა დაეხმაროს მოსწავლეს ინფორმაციის მოპოვებაში, მის ანალიზსა და გამოყენებაში.

მოსწავლემ უნდა შეძლოს ინფორმაციის მოპოვება, გაანალიზება და მისი წარმატებით გამოყენება.

გაკვეთილი არ უნდა მთავრდებოდეს იქ, სადაც გაკვეთილი იწურება. მან გავლენა უნდა იქონიოს მოსწავლეების ცხოვრებაზე. ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) დაკავშირებულ საკითხებზე, გარდა გაკვეთილებისა, მოსწავლეებთან სხვა ღონისძიებებიც უნდა ჩატარდეს. მაგალითად, სასკოლო კედლის გაზეთის გამოშვება, სხვადასხვა ტიპის აქცია და სხვა. სასურველია, სკოლის ადმინისტრაციისა და საგნის მასწავლებლის მხრიდან ასეთი ტიპის აქტივობების მხარდაჭერა.

სასწავლო მიზნები

თემის შესწავლის შემდეგ მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

- პრობლემის გააზრება და დასკვნის დამოუკიდებლად გამოტანა.
- იმ მიზეზების დადგენა, რომელთა გამო, ახალგაზრდა შეიძლება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი გახდეს.
- ადამიანით მოვაჭრეების (ტრეფიკიორების), მათ შორის, გადამბირებლების მიერ დანერგილი ტაქტიკის ამოცნობა და ანალიზი.
- უკანონო მიგრაციის საფრთხის ამოცნობა და ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) დაკავშირებული რისკის გაცნობიერება.
- ინფორმაციის მოპოვება, პრობლემების გააზრება, მათ შორის კავშირის დადგენა და პრობლემების გადაჭრის გზების დასახვა.
- ინფორმაციის სანდო წყაროებიდან მოძიება.

დაბოლოს, ყველაზე მთავარი!

გაკვეთილის დაგეგმვისა და ჩატარების დროს თქვენ ხართ თავისუფალი!

საჭიროებისამებრ, თქვენ შეგიძლიათ, შეცვალოთ გაკვეთილების დეტალები.

მთავარია, მიაღწიოთ პროგრამის სასწავლო მიზნებით დასახულ შედეგს.

გისურვებთ წარმატებებს მუშაობაში!

trefikingi masc.indd 21 12.06.2010 10:53:03

1 ახალგაზრდობა – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) რისკის ჯგუფი

I აქტივობა

მიზანი:	მიგრაციისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებთან დაკავშირებით მოსწავლეთა ცოდნის გააქტიურება.
დრო:	10 წუთი.
საჭირო მასალა:	ფლიპჩარტი, მარკერი (ან დაფა და ცარცი).
მეთოდი:	გავლილი მასალის გამეორება (უკუკავშირი), ლექცია.

პროცედურის წარმართვა

მასწავლებელი კედელზე აკრავს ფორმატზე წინასწარ დაწერილ გაკვეთილის მიზნებს (ან წერს დაფაზე) და აცნობს კლასს.

გაკვეთილის მიზნები:

- ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) დაკავშირებული საფრთხის გაცნობიერება;
- იმ მიზეზების დადგენა, რომელთა გამო ახალგაზრდა შეიძლება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი გახდეს.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ IX კლასში მიღებული ცოდნის გასააქტიურებლად მასწავლებელი სვამს კითხვებს:

1. რომელ საერთაშორისო დოკუმენტში და როგორ იქნა განმარტებული სიტყვა ტრეფიკინგი პირველად?
2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის რომელი ძირითადი საერთაშორისო დოკუმენტები იცით?
3. როგორ არის განმარტებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ტერმინი ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)? რა სასჯელს ითვალისწინებს კანონი?
4. რა იცით საქართველოში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სისტემის შესახებ?

სავარაუდო პასუხები, რომლებიც მოსწავლეებმა უნდა გასცენ IX კლასში მიღებული ცოდნის საფუძველზე:

1. ტრეფიკინგის განმარტება მოცემულია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების კონვენციის ოქმში „ადამიანით, განსაკუთრებით ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობის თავიდან აცილების, აღკვეთის და დამნაშავეთა დას-

trefikingi masc.indd 22 12.06.2010 10:53:03



ჯის შესახებ“, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო 2000 წლის ნოემბერში. კონვენციასა და მის ორ ოქმს (რომელსაც პალერმოს კონვენციასა და ოქმს ვუწოდებთ) ხელი მოაწერა სახელმწიფოთა უმრავლესობამ 2000 წლის დეკემბერში უმაღლესი დონის კონფერენციაზე იტალიაში, პალერმოში.

2. ა) ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების კონვენციის ოქმი „ადამიანით, განსაკუთრებით ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობის თავიდან აცილების, აღკვეთის და დამნაშავეთა დასჯის შესახებ“.

   ბ) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია.

3. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) არის დანაშაული, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის ყიდვას ან გაყიდვას, ან მის მიმართ სხვა უკანონო ქმედებას მუქარით, ძალადობით ან იძულების ისეთი ფორმების გამოყენებით, როგორიცაა: მოტაცება, შანტაჟი, თაღლითობა, მოტყუება ან მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება. ეს დანაშაულებრივი ქმედებები ხორციელდება ადამიანის გადაბირების, გადაყვანის, გადამალვის, დაქირავების, ქვეყნის შიგნით ან მის ფარგლებს გარეთ ტრანსპორტირების, გადაცემის, შეფარების ანდა მიღების საშუალებით. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საბოლოო მიზანს მსხვერპლის ექსპლუატაციის გზით სარგებლის მიღება წარმოადგენს.143[1] მუხლი ითვალისწინებს სასჯელს ზრდასრული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ. სასჯელის მინიმალური ზომაა თავისუფლების აღკვეთა 7 წლით, ხოლო მაქსიმალური – 20 წლით.143[2] მუხლი ითვალისწინებს სასჯელს არასრულწლოვანი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ. სასჯელის მინიმალური ზომაა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით, ხოლო მაქსიმალური – სამუდამო პატიმრობა,143[3] მუხლით განისაზღვრება სასჯელი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში.

4. ა) 2006 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

   ბ) შექმნილია ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი, გახსნილია თავშესაფრები.

   გ) საქართველოში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა განისაზღვრება ერთიანი ეროვნული სამოქმედო გეგმით.

trefikingi masc.indd 23 12.06.2010 10:53:03

შემდეგ მასწავლებელი აკრავს სქემას – ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) არის – და მოსწავლეებს შეახსენებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პროცესს, დანაშაულის მიზანს.

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) არის:



მასწავლებლის ლექცია

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) არის პროცესი, რომელიც სამი ძირითადი ეტაპისაგან შედგება: *გადაბირება, ტრანსპორტირება და ექსპლუატაცია.*

ადამიანით ვაჭრობაა (ტრეფიკინგია) მაშინ, როდესაც:

- სახეზეა სამივე ეტაპი – გადაბირება, ტრანსპორტირება და ექსპლუატაცია.
- სამივე ეტაპი ერთმანეთთანაა დაკავშირებული.
- მოქმედება ხორციელდება ერთ-ერთი საშუალების გამოყენებით ექსპლუატაციის მისაღწევად.

trefikingi masc.indd 24 12.06.2010 10:53:04

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის (მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1948 წ. 10 დეკემბერს) თანახმად, ადამიანით ვაჭრობა არის ადამიანის უფლებებისა და ღირსების შელახვის ძალიან მძიმე ფორმა. საზოგადოდ, ადამიანის უფლებები შეიძლება განისაზღვროს, როგორც უფლებები, რომელთა გარეშე შეუძლებელია თავი ცივილიზებულ პიროვნებად იგრძნო. ეს უფლებები და ძირითადი თავისუფლებები ადამიანს აძლევს სრულფასოვანი განვითარების, ადამიანური ფასეულობებისა და ნიჭის გამოყენების საშუალებას.

- **დეკლარაციის მე-3 მუხლი** მიუთითებს, რომ „ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება“. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) წარმოადგენს საფრთხეს ადამიანის უსაფრთხოებისა და სიცოცხლისათვის.

- **დეკლარაციის მე-4 მუხლი** ითვალისწინებს, რომ „არავინ უნდა იმყოფებოდეს მონობაში ან ძალმომრეობით მორჩილების მდგომარეობაში. ყველა სახის მონობა და მონათვაჭრობა აკრძალულია“; ეს მუხლი კრძალავს სწორედ ადამიანით ვაჭრობას, ვინაიდან ბევრ საერთაშორისო დოკუმენტში ადამიანით ვაჭრობა განმარტებულია, როგორც მონობა ან გათანაბრებულია მონათვაჭრობასთან.

- **დეკლარაციის მე-5 მუხლში** ხაზგასმულია, რომ „არავის მიმართ არ უნდა იქნას გამოყენებული წამება ან სასტიკი, არაადამიანური თუ მისი ღირსების დამამცირებელი მოპყრობა და სასჯელი“. საზოგადოებაში არსებობს აზრი იმის შესახებ, რომ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი, იქნება ეს კაცი თუ ქალი, რომელიც აიძულეს ჩაბმულიყო პროსტიტუციაში ან სხვა იძულებითი სახის სამუშაოში, თავად არის დამნაშავე, რადგან იცოდა, რა ელოდა. ადამიანით მოვაჭრეები ადამიანს ეპყრობიან როგორც ნივთს, საქონელს და მოტყუების, შანტაჟისა და იძულების გზით ართმევენ მას ადამიანის ძირითად უფლებას – თავად აირჩიოს საკუთარი ცხოვრების გზა.

II აქტივობა

მიზანი:	მოსწავლეებში პრობლემის გააზრებისა და დასკვნის გამოტანის უნარის გაუმჯობესება.
დრო:	25 წუთი.
საჭირო მასალა:	4 ზომის ფურცლებზე დიდი ასოებით წინასწარ დაწერილი მტკიცებულებები (თუ ვერ ახერხებთ მტკიცებულებების ფურცელზე დაწერას, შეგიძლიათ, ხმამაღლა წაიკითხოთ გარკვევით და, საჭიროებისამებრ, გაუმეოროთ მოსწავლეებს). თითოეული მტკიცებულება ცალკე ფურცელზე უნდა იყოს დაწერილი; სკოჩი ან ჭიკარტი ფურცლების მისამაგრებლად.
მეთოდი:	არგუმენტირება.

trefikingi masc.indd 25 12.06.2010 10:53:04

1

პროცედურის წარმართვა:

I ვარიანტი (20-მდე მოსწავლისთვის)

სასურველია:

ამ სავარჯიშოს შესრულებისათვის შეირჩეს ისეთი საკლასო ოთახი, რომელშიც თავისუფლად გადაადგილება იქნება შესაძლებელი. საკლასო ოთახი პირობითად უნდა გაიყოს ორად. ერთ ნაწილში კედელზე უნდა გააკრათ 4 ზომის ფურცელი წარწერით „ვეთანხმები“, ხოლო მეორე ნაწილში ასევე 4 ზომის ფურცელი წარწერით „არ ვეთანხმები“.

ინსტრუქცია:

შემოგთავაზებთ რამდენიმე მტკიცებულებას ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე. თითოეულმა თქვენგანმა უნდა გამოთქვას საკუთარი დასაბუთებული მოსაზრება ამ მტკიცებულების თაობაზე. თუ თქვენ ეთანხმებით მას, ადგილს დაიკავებთ ოთახის იმ ნაწილში, სადაც გამოკრულია წარწერა „ვეთანხმები“, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არ ეთანხმებით, დაიკავებთ ადგილს ოთახის იმ ნაწილში, სადაც გამოკრულია წარწერა „არ ვეთანხმები“.

მასწავლებლის საყურადღებოდ !

გაითვალისწინეთ, რომ მტკიცებულებები რიგრიგობით უნდა წაიკითხოთ ხმამაღლა, შემდეგ თვალსაჩინოებისთვის მიამაგრეთ ისინი კედელზე (ან დაფაზე). ყველა მოსწავლეს მიეცით შესაძლებლობა, გამოთქვას საკუთარი დასაბუთებული მოსაზრება.

იმ შემთხვევაში, თუ კლასში მოსწავლეთა რაოდენობა დიდია (25-40 მოსწავლე), გამოიყენეთ ამ სავარჯიშოს წარმართვის მეორე ვარიანტი.

II ვარიანტი (20-40 მოსწავლისთვის)

დაყავით კლასი 4-5 კაციან ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფს დაურიგეთ სხვადასხვა მტკიცებულება. სთხოვეთ მოსწავლეებს, რომ განიხილონ ჯგუფის ყველა წევრის მოსაზრება, აირჩიონ სპიკერი, რომელიც წარადგენს ჯგუფის მოსაზრებას კლასის წინაშე.

ჯგუფების რაოდენობის მიხედვით, ქვემოთ მოცემული მტკიცებულებები შეარჩიეთ თქვენი შეხედულებისამებრ.

სასარგებლო რჩევა მასწავლებელს:

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სავარჯიშოს შესრულების ორივე ვარიანტის დროს თავი შეიკავოთ ნებისმიერი სახის კომენტარისგან. საშუალება მიეცით მოსწავლეებს, გამოთქვან საკუთარი მოსაზრება. გაითვალისწინეთ, რომ ამ სავარჯიშოს მიზანი არის, საკითხთან დაკავშირებით მოსწავლეებში არსებული სტერეოტიპული წარმოდგენების განხილვა. აქედან გამომდინარე, დისკუსიის დროს არ არსებობს სწორი და არასწორი პასუხები. თქვენ მხოლოდ ფასილიტატორის ფუნქციას ასრულებთ.

trefikingi masc.indd 26 12.06.2010 10:53:05

მტკიცებულებები:

1. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) არ ემუქრება ნებისმიერ ადამიანს. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი შეიძლება გახდეს მხოლოდ ღარიბი და გაუნათლებელი ადამიანი;

2. როდესაც მოქალაქე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი ხდება, ეს მხოლოდ მისი ბრალია;

3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების ყველაზე სანდო საშუალებაა, რომ დასაქმების თაობაზე მხოლოდ ნაცნობების მიერ შეთავაზებულ წინადადებას დათანხმდე;

4. უცხოეთში სამუშაოდ უცხო ენის ცოდნა არც ისე მნიშვნელოვანია, საკმარისია, იცოდე მარტივი ფრაზები, რომლებსაც გამოიყენებ ყოველდღიურ ცხოვრებაში;

5. უცხოეთში მუშაობის ნებართვისა და შრომითი ხელშეკრულების გარეშეც იპოვი სანდო სამუშაოს;

6. მაღალგანვითარებულ ქვეყანაში ფულს იოლად იშოვი.

მასწავლებლის კომენტარი

მოსწავლეების მიერ მტკიცებულებების განხილვის შემდეგ შეგიძლიათ, კომენტარი გააკეთოთ საზღვარგარეთ სხვადასხვა ხერხით გამგზავრებასთან დაკავშირებით მცდარი წარმოდგენების შესახებ.

► ***წინადადებას საზღვარგარეთ დასაქმების შესახებ, რომელსაც ნაცნობის, მეგობრის ან ნათესავისაგან ვიღებთ, ყოველთვის შეგვიძლია ვენდოთ.***

თუ უცხოეთში სამსახურს გთავაზობენ და გარწმუნებენ, რომ თვითონ ან მისი ნაცნობი ასრულებდა ამ სამუშაოს, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს სანდო შემოთავაზებაა და თქვენ საფრთხე არ დაგემუქრებათ. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ბევრი მსხვერპლი აღიარებს, რომ სამუშაო ნაცნობისაგან შეთავაზებული წინადადების საფუძველზე აირჩია.

გახსოვდეთ, როდესაც მოქალაქეს უცხოეთში სამუშაოს თავაზობენ და მას არ მოეთხოვება დანიშნულების ქვეყნის ენის ცოდნა, შესაბამისი შრომითი უნარ-ჩვევები ან მუშაობის გამოცდილება, ამ შემთხვევაში, როგორც წესი, ლაპარაკია არალეგალურ დასაქმებაზე.

► ***როდესაც სამუშაოს თავაზობენ გაზეთში გამოქვეყნებული განცხადებით, ლაპარაკია ლეგალურ სამუშაოზე.***

როდესაც ფირმა ან კერძო პირი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ღიად აკეთებს შეთავაზებას დასაქმების თაობაზე, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ლაპარაკია სანდო, ლეგალურ სამუშაოზე.

გახსოვდეთ, რომ გაზეთი ყიდის ადგილს რეკლამის განსათავსებლად და, რა თქმა უნდა, არ ამოწმებს რეკლამის შემკვეთებს. გაზეთში ერთმანეთის გვერდით შეიძლება განთავსდეს წინადადება ლეგალური, არალეგალური ან თუნდაც არარსებული სამუშაოს შესახებ.

► ***საზღვარგარეთ იოლად შეიძლება ბევრი ფულის შოვნა.***

რეალობა სხვაგვარია. თუ სამუშაო არალეგალურია, შესაძლებელია, მოქალაქეს გადაუხადონ ნაკლები და აიძულონ იმუშაოს მეტი, ვიდრე დაპირდნენ, ან საერთოდ არ გადაუხადონ.

გახსოვდეთ, რომ არალეგალურ მუშაობას თან ახლავს ის, რომ დამსაქმებელი ცდილობს, რაც შეიძლება მეტი მოგება ნახოს.

trefikingi masc.indd 27 12.06.2010 10:53:05

► ***უცხოეთში მცირე ხნით მუშაობა შეიძლება ტურისტული ვიზით და მუშაობის ნებართვის გარეშე.***

როგორც წესი, საზღვარგარეთ გამგზავრებამდე აუცილებელია დამქირავებელთან დადებული სამუშაო ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავებულმა მიიღოს მის სახელზე დანიშნულების ქვეყანაში გაცემული მუშაობის ნებართვა. ქვეყანაში შესვლა ხდება სამუშაო ვიზით.

გახსოვდეთ, ტურისტული ვიზით შესულ მოქალაქეებს მუშაობის უფლება არ გააჩნიათ.

► ***იმისათვის, რომ გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება და მუშაობის ნებართვა, დამსაქმებელს სჭირდება მოქალაქის პასპორტი.***

სინამდვილეში, დამსაქმებელს მოქალაქის პასპორტი არ სჭირდება. მას მოქალაქის პასპორტის თავისთან დატოვების უფლება არ აქვს.

გახსოვდეთ, მხოლოდ ოფიციალურ პირებს აქვთ პასპორტის მოთხოვნის უფლება. თუ დამსაქმებელი ითხოვს თქვენს პასპორტს, დაუტოვეთ მხოლოდ პასპორტის ასლი!

► ***მოქალაქეს შეუძლია უარი თქვას მისთვის შეუფერებელ სამუშაოზე.***

ადამიანი, რომელსაც შუამავლის ან დამსაქმებლის ვალი აქვს, ან დარჩა პასპორტის გარეშე, ან მასზე ხორციელდება სხვადასხვა სახის ზეწოლა, უმწეო მდგომარეობაში ვარდება და იოლად სამართავი ხდება.

გახსოვდეთ, ასეთ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი ადვილად ვეღარ ანებებს თავს არასასურველ სამუშაოს.

III აქტივობა

მიზანი:	**იმ მიზეზების დადგენა, რომელთა გამო ახალგაზრდა შეიძლება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი გახდეს.**
დრო:	**10 წუთი.**
საჭირო მასალა:	**ფლიპჩარტი, მარკერი (ან დაფა და ცარცი).**
მეთოდი:	**გონებრივი „იერიში“, დისკუსია.**

პროცედურის წარმართვა:

მასწავლებელი **გონებრივი „იერიშის“** მეთოდით აკეთებს ასოციაციურ რუკას თემაზე – ახალგაზრდების ტრეფიკინგის მსხვერპლად გახდომის მიზეზები (ასოციაციური რუკის შედგენის მეთოდი მოცემულია მეთოდურ მითითებებში).

ასოციაციური რუკის სავარაუდო პასუხები: გამოუცდელობა, ოჯახური ძალადობა, უცხო ქვეყნის ნახვის სურვილი, უცხოეთში ცხოვრების სურვილი, უმუშევრობა, რეალობიდან გაქცევა, ცოდნის მიღების სურვილი...

ამის შემდეგ, მასწავლებელი წარმართავს **დისკუსიას** (დისკუსიის წარმართვის ხერხები მოცემულია მეთოდურ მითითებებში).

trefikingi masc.indd 28 12.06.2010 10:53:05

სადისკუსიო კითხვები:

1. მიეკუთვნება თუ არა საქართველოს ახალგაზდრობა ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) დაკავშირებულ რისკის ჯგუფს? რატომ?
2. გაქვთ თუ არა საზღვარგარეთ მუშაობის სურვილი? რომელ სფეროში იმუშავებდით?
3. როგორ ფიქრობთ, გაქვთ თუ არა საკმარისი ინფორმაცია საზღვარგარეთ სწავლის, მუშაობისა და ცხოვრების პირობების შესახებ? რა ინფორმაციას ფლობთ ამის შესახებ? ინფორმაციის მოსაპოვებლად რომელ წყაროს მიმართავდით?

მასწავლებლის კომენტარი

ახალგაზრდების ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად გახდომის გამომწვევი მიზეზებია:

- საზღვარგარეთ სწავლის, მუშაობის, დამკვიდრების დიდ სურვილსა და მისწრაფებასთან ერთად, რეალური შესაძლებლობის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა;
- რთული ეკონომიკური ვითარება და ამას დართული უმუშევრობა, ახალგაზრდების სამუშაო გამოცდილების არქონა;
- წინააღმდეგობა ახალგაზრდებისათვის წაყენებულ მოთხოვნებსა და ახალგაზრდების შესაძლებლობებს შორის. მედიის, რეკლამების, ფილმების საშუალებით ახალგაზრდები ეცნობიან ცხოვრების სხვადასხვა სტილს. ხშირად ტელევიზორში ხედავენ ცხოვრების ისეთ დონეს, რომელიც ბევრად უკეთესია, ვიდრე მათი ცხოვრება;
- ახალგაზრდობა ნაკლებადაა ინფორმირებული იმ სირთულეებისა და საფრთხის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია საზღვარგარეთ მუშაობის ნებართვის აღებასა და შრომითი ხელშეკრულების გარეშე სამუშაოდ გამგზავრებასთან.

საშინაო დავალება

ადამიანით მოვაჭრეები ახალგაზრდების გადასაბირებლად სხვადასხვა მეთოდს მიმართავენ. თქვენი აზრით, ქვემოთ მოცემული გადაბირების საშუალებებიდან რომელს იყენებენ ისინი ხშირად, იშვიათად ან არასოდეს? შეავსეთ წიგნში მოცემული სქემა.

გადაბირების საშუალება	ხშირად/იშვიათად/არასოდეს
გაზეთში გამოქვეყნებული განცხადება	
ჩატი ინტერნეტში	
გაცნობის ინტერნეტპორტალი	
ნაცნობებისა და მეგობრების რჩევა	
ნაცნობები/მეგობრები, რომლებიც მუშაობდნენ საზღვარგარეთ	
ახალი ნაცნობი, რომელიც საზღვარგარეთ სამუშაო ადგილის პოვნაში დახმარებას გპირდება	
ოფიციალური ინფორმაცია სამუშაოსა და სწავლის შეთავაზების შესახებ სხვადასხვა უწყების ვებგვერდზე	

trefikingi masc.indd 29 12.06.2010 10:53:05

2 ვინ და როგორ ხდება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი?

I აქტივობა

მიზანი:	ადამიანით მოვაჭრეების (ტრეფიკიორების), მათ შორის გადამბირებელთა მიერ გამოყენებული ტაქტიკის ამოცნობის უნარ-ჩვევების გამომუშავება.
დრო:	40 წუთი.
საჭირო მასალა:	დისკზე ჩაწერილი ფილმი.
მეთოდი:	აუდიო-ვიზუალური მასალის ჩვენება, დისკუსია, პრეზენტაცია.

პროცედურის წარმართვა:

გაკვეთილის დასაწყისშივე მასწავლებელი განმარტავს ტერმინს – ***გადაბირება.***

გადაბირება ითვალისწინებს ადამიანების შერჩევას ადამიანით ვაჭრობისათვის (ტრეფიკინგისათვის). მათ სთავაზობენ დასაქმებას, კარგ ანაზღაურებას, სწავლას, ზოგჯერ ფიქტიურ ქორწინებასაც კი და სხვა.

პროცესი, რომლის შედეგად ადამიანი ხდება მსხვერპლი, განსხვავდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს გადაბირების ოთხი ძირითადი მეთოდი:

- **მოტაცება –** ადამიანი მიყავთ ძალის გამოყენებით მისი ნების საწინააღმდეგოდ;
- **ძალით გადაბირება –** პირის თანხმობის მისაღწევად მის წინააღმდეგ იყენებენ ძალადობას ან მუქარას;
- **გადაბირება სრული მოტყუებით –** ადამიანმა საერთოდ არაფერი იცის რეალური მდგომარეობის შესახებ;
- **გადაბირება ნაწილობრივი მოტყუებით –** ადამიანებმა იციან, რომ საეჭვო სამუშაოს სთავაზობენ, მაგრამ არ იციან სრულად რეალური სირთულე და ექსპლუატაციის ხარისხი.

შემდეგ მასწავლებელი კლასს უჩვენებს სასწავლო ფილმს.

“წარმოგიდგენთ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მომზადებულ სასწავლო ფილმს, რომელიც ტრეფიკიორების მიერ საქართველოში ადამიანების გადაბირების ყველაზე გავრცელებულ მეთოდს ეხება.“

ფილმის ჩვენების პროცედურა

სასწავლო ფილმის ქრონომეტრაჟია 10 წუთი. მასწავლებელი ფილმის ჩვენებას წყვეტს ყოველი მომდევნო კითხვის შემდეგ და საშუალებას აძლევს მოსწავლეებს პასუხები გასცენ დასმულ კითხვებს. თუ კადრის შემდეგ ორი სხვადასხვა კითხვაა დასმული, აჩვენებს რიგრიგობით. განსახილველი კითხვები მოცემულია ფილმში.

ფილმის დასრულების შემდეგ კლასში განსახილველად მასწავლებელი სვამს კითხვას - თქვენი აზრით, როგორი შეიძლება იყოს ამ ფილმის დასასრული? მოკლედ აღწერეთ თქვენი მოსაზრებები.

trefikingi masc.indd 30 12.06.2010 10:53:05

სასარგებლო რჩევა მასწავლებელს:

- ფილმის ჩვენებამდე აუცილებლად შეამოწმეთ დისკი. დარწმუნდით, რომ გამოსახულებისა და ხმის ხარისხი პრობლემებს არ შეგიქმნით გაკვეთილის მიმდინარეობისას.
- ფილმის განხილვისას თავი შეიკავეთ ნებისმიერი სახის კომენტარისგან ან მინიშნებისგან. საშუალება მიეცით მოსწავლეებს თავისუფლად გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები.

II აქტივობა

მიზანი: მიღებული ცოდნის საფუძველზე ადამიანით მოვაჭრეების (ტრეფიკიორების), აგრეთვე, გადამბირებელთა მიერ გამოყენებული ტაქტიკის ანალიზი. ადამიანით ვაჭრობისაგან (ტრეფიკინგისაგან) თავდაცვის მექანიზმის გააზრება.

დრო: 5 წუთი.

მეთოდი: პრეზენტაცია.

მასწავლებლის კომენტარი

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) განმარტების თანახმად, გადაბირება არის ამ სასტიკი დანაშაულის პირველი ფაზა, რომელსაც შემდგომ ტრანსპორტირება, გადაცემა, მიღება და ბოლოს – ექსპლუატაცია მოსდევს. ძალიან ფართოა იმ ადამიანების წრე, ვინც ადამიანით ვაჭრობის გზით მოგებას იღებს. ამ ჯაჭვის პირველ რგოლს გადამბირებელი წარმოადგენს.

სხვადასხვა წყაროს მონაცემებით, ორგანიზებულ დანაშაულში ჩართული კრიმინალური ჯგუფების მიერ ადამიანით ვაჭრობის გზით მიღებული შემოსავალის შედარება შეიძლება მხოლოდ ნარკოტიკითა და იარაღით ვაჭრობით მიღებულ მოგებასთან და იგი წელიწადში 8 მილიარდ დოლარამდე აღწევს.

პოტენციური მსხვერპლის მოძიება ზოგჯერ ხდება გაზეთებში ან ინტერნეტში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში განთავსებული განცხადებების საშუალებით საზღვარგარეთ მუშაობის ან სწავლის შესახებ.

საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებამ, ხელმისაწვდომი გახადა ამ მიზნით ინტერნეტრესურსების გამოყენებაც.

საქართველოში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევების ანალიზმა გვიჩვენა, რომ, უმრავლეს შემთხვევაში, მსხვერპლი გადაიბირეს ნაცნობებმა და ნათესავებმა, ეს გადაბირების განსაკუთრებით დაუნდობელი ხერხია, რადგან ნაცნობს ხშირად თვალდახუჭული ენდობიან.

trefikingi masc.indd 31 12.06.2010 10:53:06

შეუძლებელია ადამიანთა გადაბირებისათვის საჭირო ყველა საშუალების ჩამოთვლა, რადგან რაც უფრო იზრდება საზოგადოების ცოდნა ადამიანით ვაჭრობის შესახებ, მით უფრო იხვეწება დამნაშავეთა მეთოდები. რაც შეიძლება მეტი „ცოცხალი საქონელის“ ხელში ჩასაგდებად ისინი არაფერზე იხევენ უკან, იტაცებენ თავის მსხვერპლს, ძალის გამოყენებით და ძალის გამოყენების მუქარით, მოტყუებით, საკუთარი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით ან ადამიანის უმწეო მდგომარეობით სარგებლობენ.

პოტენციურ მსხვერპლს სთავაზობენ მუშაობას შინამოსამსახურედ, დამლაგებლად, ძიძად, მოხუცთა მომვლელად, მოცეკვავედ, მოდელად, მიმტანად, სოფლის მეურნეობაში ან მშენებლობაზე და ა.შ. გადამბირებელი პოტენციურ მსხვერპლს იოლ სამუშაოსა და კარგ ანაზღაურებას, უცხო ქვეყნის ნახვას, საინტერესო ცხოვრების პერსპექტივას ჰპირდება. უმეტეს შემთხვევაში, მას არ მოეთხოვება კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი და სამუშაო გამოცდილება, ასევე უცხო ენის ცოდნა. როგორც წესი, გადამბირებელი არწმუნებს, რომ მას შეუძლია უმალ დატოვოს სამუშაო ადგილი, თუ პირობები არ დააკმაყოფილებს. ხშირია შეთავაზება სამგზავრო დოკუმენტების, ვიზების, ბილეთების, ხელშეკრულებების სწრაფად და შეუფერხებლად გაფორმების, ზოგჯერ კი მგზავრობასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის „უანგაროდ“ დაფარვის თაობაზე, რაც მსხვერპლს სავალო კაბალის მძიმე უღელს უქადის.

გადაბირება შეიძლება მოხდეს როგორც ჯგუფის, ასევე ცალკეული პირის. მაგალითად, მოცეკვავეთა ჯგუფის ან მშენებელთა ბრიგადის შეგროვებით ან პირადი ნაცნობის (მეგობრის ან ნათესავისაც კი), ან შემთხვევითი (მაგალითად გაზეთში განცხადების) გზით.

გახსოვდეთ! **გადამბირებელი ყოველთვის არ არის თქვენთვის უცნობი პირი. ის შესაძლოა იყოს თქვენი ნათესავი, მეზობელი ან ნაცნობი/მეგობარი.**

იმ შემთხვევაში, თუ კერძო პირი ან კომპანია უცხოეთში გამგზავრების დაგეგმვაში გეხმარებათ:

- **გაარკვიეთ უცხოეთში თქვენს საცხოვრებელთან ყველაზე ახლომდებარე თქვენი ქვეყნის საელჩოს ან საკონსულოს მისამართი და ტელეფონის ნომერი;**
- **წინასწარ გაარკვიეთ იმ ადგილის დასახელება, მისამართი და ტელეფონის ნომერი, სადაც აპირებთ გაჩერებას. შეძლებისამებრ, დაუკავშირდით თქვენს პოტენციურ დამსაქმებელს ტელეფონის ან ფოსტის საშუალებით, რათა გადაამოწმოთ სამუშაო ადგილის ნამდვილობა, ასევე დააზუსტეთ თქვენი ხელფასისა და საცხოვრებელი პირობების საკითხი;**
- **დაუკავშირდით თქვენს სამშობლოში მოქმედ შესაბამის ორგანიზაციებს პოტენციური დამსაქმებლის ან კომპანიის სანდოობის ხარისხის დაზუსტების მიზნით. ასევე საკონსულო ოფიცერს დანიშნულების ქვეყნის საელჩოში.**

გულდასმით გადაამოწმეთ თქვენთვის შემოთავაზებული ნებისმიერი საინტერესო წინადადება

დამსაქმებელმა შეიძლება კონტრაქტის დადება შემოგთავაზოთ. ხელი არ მოაწეროთ კონტრაქტს სანამ საგულდაგულოდ არ გაეცნობით საბუთს. თუ გაურკვევლად მოგეჩვენათ კონტრაქტის რომელიმე პუნქტი, გააცანით იგი იურისტს, არასამთავრობო ორგანიზაციას ან პიროვნებას, რომელსაც ენდობით.

ნუ ენდობით პოტენციურ დამსაქმებელს, რომელიც უცხოეთში გასამგზავრებლად ტურისტული ვიზის მიღებაში დახმარებას გპირდებათ.

დასაქმების თაობაზე ლეგალური და არალეგალური წინადადებები, უპირველეს ყოვლისა,

trefikingi masc.indd 32 12.06.2010 10:53:06

შინაარსით განსხვავდება. არალეგალური წინადადებები ხშირად ძალიან ნაჩქარევადაა შედგენილი და არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული. ასეთ შემთხვევაში, ადამიანს დაფიქრების დროც არ რჩება. გარდა ამისა, ყველა აუცილებელი მოქმედება ნაჩქარევად და ზედმეტი ფორმალობის გარეშე ხორციელდება. მაშინ, როცა ლეგალური დასაქმება ითხოვს საკმაოდ ბევრ დროს და აუცილებელი დოკუმენტების უფრო გულდასმით მომზადებასა და გაფორმებას.

ახალგაზრდები ხშირად მონაწილეობენ გაცვლით პროგრამებში, რაც მათ პროფესიულ განვითარებასა და უცხო ენის დაუფლებას უწყობს ხელს. ამავე დროს აუ-პაიერის (ძიძების) პროგრამა საზღვარგარეთ გამგზავრების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ხერხია ახალგაზრდობისთვის. ასეთ პროგრამებს პროპაგანდას ხშირად სკოლებსა და უნივერსიტეტებში უწევენ.

როგორც წესი, გაცვლითი პროგრამები შესაბამისი ნებართვით ხორციელდება, მაგრამ ხშირად ასეთ პროგრამებს ახორციელებენ რომელიმე საერთაშორისო პროგრამის საფარქვეშ. ახალგაზრდულ გაცვლით პროგრამაში ჩართვამდე, რეკომენდებულია სანდო და ამომწურავი ინფორმაციის მიღება.

ადამიანით მოვაჭრის ძირითად სამიზნეს დაუცველი ადამიანები წარმოადგენენ. ხშირად, ისინი არასრულწლოვნები და ახალგაზრდა გოგონები არიან. ადამიანით მოვაჭრეთა ხრიკები მრავალფეროვანი და უმოწყალოა, პოტენციური მსხვერპლის ნდობის მოსაპოვებლად ისინი ყველა ღონეს ხმარობენ.

მასწავლებლის საყურადღებოდ!

გაკვეთილის დასასრულს მოსწავლეების ყურადღება გაამახვილეთ მოსწავლის წიგნში მოცემულ ბოლო ინფორმაციაზე – წაიკითხე, დაიმახსოვრე და ურჩიე სხვასაც.
თუ გაკვეთილზე დრო გეყოთ, წააკითხეთ მოხალისეს ეს ინფორმაცია.

წაიკითხე, დაიმახსოვრე და ურჩიე სხვასაც:

დღეს ინტერნეტი ინფორმაციის მიღების საუკეთესო წყაროა, მაგრამ შესაძლოა ინტერნეტის არასწორად სარგებლობისას ბავშვებს სერიოზული საშიშროება შეექმნათ. სხვადასხვა ტიპის დამნაშავეები ინტერნეტს საკუთარი ზრახვების განსახორციელებლად იყენებენ. ისინი შედიან საყმაწვილო ფორუმებზე, ეცნობიან ბავშვებს. მათ ბავშვის კეთილგანწყობის მოპოვების საკუთარი, კარგად შემუშავებული ხერხები აქვთ. ისინი იოლად ითანხმებენ ბავშვებს შეხვედრაზე, შემდეგ კი ახერხებენ მათ დაყოლიებას ამა თუ იმ მომსახურებაზე. დაფიქსირებულია შემთხვევები, როდესაც ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა გადაბირება ინტერნეტით მოხდა.

როგორ უნდა მოვიქცეთ?

- თავი შეიკავე უცნობისათვის შენ შესახებ ინფორმაციის, მათ შორის, სახელის, მისამართის, სკოლის ნომრის, ტელეფონის ნომრისა და ელექტრონული ფოსტის მისამართის მიწოდებისაგან.
- თუ გაცნობის ინტერნეტპორტალში დამეგობრებულ უცნობებთან პირისპირ შეხვედრას გადაწყვეტ, უმჯობესია შეხვედრაზე მოზრდილებთან ერთად წახვიდე.
- გადაუმოწმებლად ნუ დაუჯერებ დაპირებებსა და შემოთავაზებას საზღვარგარეთ სწავლისა და დასაქმების თაობაზე.

ინტერნეტით სარგებლობის წესების დაცვა უზრუნველყოფს შენსავე უსაფრთხოებას.

trefikingi masc.indd 33 12.06.2010 10:53:06